

სამოქალაქო განათლების ტესტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტში სხვადასხვა ტიპის 30 დავალებაა. ყურადღებით გაეცანით დავალებათა ინსტრუქციებს, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების პირობა და შემდეგ გაეცით პასუხი.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 3 საათი და 10 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



ინსტრუქცია

დავალება არჩევითი პასუხებით (№1-24, 30.1, 30.2)

თითოეულ კითხვას თან ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელზე, სწორი პასუხის შესაბამის უჯრაში, დასვით **X** ნიშანი. არცერთი სხვა აღნიშვნა ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ, მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით **X** ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი. გადასწორებულ პასუხს ხელმეორედ ვერ აირჩევთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. როგორ განისაზღვრება ტერმინი „ქსენოფობია“?

ა) უცხოელთა მიმართ შიში;

ბ) განსხვავებული აზრის დევნა;

გ) რელიგიური შეუწყნარებლობა;

დ) ეთნიკური წმენდა.

2. სამართლის რომელი დარგი არეგულირებს კერძო ხასიათის ქონებრივ და საოჯახო ურთიერთობებს?

ა) სისხლის სამართალი;

ბ) სამოქალაქო სამართალი;

გ) მუნიციპალური სამართალი;

დ) ადმინისტრაციული სამართალი.

3. საერთაშორისო სამართლის მიხედვით, რა ეწოდება პირს, რომელმაც იძულებით გადაკვეთა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ქვეყნის საზღვარი და სხვა სახელმწიფოსგან მიიღო უსაფრთხო საცხოვრებელი და მატერიალური დახმარება?

ა) ლტოლვილი;

ბ) დიპლომატი;

გ) პილიგრიმი;

დ) დევნილი.

4. რომელი მინისტრის ბრძანებით განისაზღვრება ქორწინების რეგისტრაციის წესი?

- ა) იუსტიციის მინისტრის;
- ბ) კულტურის მინისტრის;
- გ) განათლების მინისტრის;
- დ) შინაგან საქმეთა მინისტრის.

5. რომელი საერთაშორისო დოკუმენტი იქნა მიღებული 1989 წელს?

ა) ბავშვთა უფლებების კონვენცია;

ბ) ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია;

გ) ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია;

დ) ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია.

6. რას ეწოდება სამუშაო ძალა?

- ა) გაწეულ შრომას, რომლის სანაცვლოდ პიროვნება იღებს ანაზღაურებას;
- ბ) პიროვნებას, რომელსაც შეუძლია მუშაობა და ეძებს შესაფერის სამუშაოს;
- გ) ქვეყნის მოსახლეობაში სამუშაოს აქტიურ მაძიებელთა წილს;
- დ) შრომისუნარიანი მოსახლეობის საერთო რაოდენობას.

7. რა ეწოდება მრავალფეროვნების მართვის ფორმას, რომლის დროსაც უმცირესობაში მყოფი სოციალური ჯგუფების განმასხვავებელი ნიშანთვისებები იშლება და დომინანტ სოციალურ ჯგუფს ერევა?


ა) ინტეგრაცია;

ბ) სეგრეგაცია;

გ) ასიმილაცია;

დ) მარგინალიზაცია.

8. რას აღნიშნავს დიაგრამაზე თავისუფალი კონკურენციისას მოთხოვნისა და მიწოდების მრუდების გადაკვეთის წერტილი?



- ა) საბაზრო წონასწორობას;
- ბ) კონკურენციის დინამიკას;
- გ) მიწოდების დეფიციტს;
- დ) მიწოდების სიჭარბეს.

9. რა ეწოდება სახელმწიფოს ზედამხედველობითი ორგანოს მიერ შემოქმედებითი ნაწარმოებების კონტროლს, მიუღებლობის შემთხვევაში მათი აკრძალვის მიზნით?
- ა) დისკრედიტაცია;
 - ბ) კონფისკაცია;
 - გ) ლიცენზია;
 - დ) ცენზურა.

10. რას ნიშნავს თანამედროვე საზოგადოებაში პიროვნების სტიგმატიზაცია?

- ა) სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში პიროვნების მაქსიმალურ ადაპტაციას;
- ბ) პიროვნების უპასუხისმგებლობის გამო სოციალურ გარემოში მის მიმართ უნდობლობის გაჩენას;
- გ) პიროვნებისთვის თავისუფლების აღკვეთას მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო;
- დ) პიროვნებისთვის ნეგატიური სოციალური იარლიყების მიწებებას და მის დისკრედიტაციას.

11. რომელი ქმედება არ წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უფლებამოსილებას?

ა) აგრესორი ქვეყნის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენება;

ბ) აგრესორი ქვეყნის მიმართ ეკონომიკური სანქციების შემოღება;

გ) საჭიროების შემთხვევაში წევრი სახელმწიფოს სუვერენიტეტის გაუქმება;

დ) საერთაშორისო დამაბულობის კერებში საგამოძიებო პროცესის წარმოება და კონფლიქტის მოსაგვარებლად ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.

12. როგორია სახელმწიფო ბიუჯეტი, თუ საბიუჯეტო შემოსავლები აღემატება საბიუჯეტო ხარჯებს?

ა) დაბალანსებული;

ბ) დეფიციტური;

გ) პრეფიციტური;

დ) სეკვესტრირებული.

13. რომელი ნიშანი არ ახასიათებს თანამედროვე დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოს?

ა) დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში ადამიანის ძირითადი უფლებები ზღუდავს ხელისუფლების უფლებამოსილებებს;

ბ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სახელმწიფო უფლებამოსილია, პიროვნებას ჩამოართვას ღირსების უფლება;

გ) დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში თითოეული ადამიანი აღიარებულია პასუხისმგებლობის მქონე, დამოუკიდებელ და თავისუფალ პიროვნებად;

დ) ხელისუფლების მხრიდან ადამიანის უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია კანონის ფარგლებში, თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილების შენარჩუნების მიზნით.

14. თვითმმართველობა გულისხმობს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების მოგვარებას კონკრეტულ ტერიტორიულ ერთეულში. თვითმმართველობა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს - ----- მეშვეობით ხორციელდება.

ა) საკრებულოს;

ბ) გამგეობის;

გ) მერიის;

დ) სათათბიროს.

15. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციას მრავალი ადამიანი ემსხვერპლა. კომუნისტური იდეოლოგიური ----- მიზნად ისახავდა განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე ადამიანების განადგურებას ან საჯარო სივრციდან მათ ჩამოშორებას.

ა) რეგრესია;

ბ) რეპრესია;

გ) რატიფიკაცია;

დ) რეზოლუცია.

16. რომელი ტერმინი გადმოსცემს ილუსტრაციის შინაარსს?



- ა) ინფლაცია;
- ბ) ტრანსაქცია;
- გ) ინვესტიცია;
- დ) ტრანსფერტი.


17. გაეცანით სიტუაციას და უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ კითხვას:

ერთ-ერთი ძარცვის შემდეგ პოლიციელებმა ცხელ კვალზე დააკავეს არასრულწლოვანი მოქალაქე, თუმცა თვითმხილველების ინფორმაციით, მასთან ერთად ძარცვაში ორი სრულწლოვანი მოქალაქეც მონაწილეობდა. პოლიციელებმა ეჭვიტანილი სასწრაფოდ გადაიყვანეს პოლიციის უახლოეს განყოფილებაში, სადაც ის გამომძიებელმა დაკითხა. მოგვიანებით მისულ მშობელსა და ადვოკატს ეჭვიტანილმა განუცხადა, რომ დაკითხვის დროს მასზე ძალადობა არ განხორციელებულა. თავად დაკითხვა ძალიან ნაყოფიერი გამოდგა, ვინაიდან სწორედ მის საფუძველზე დანარჩენი ორი ეჭვიტანილიც დაკავებულ იქნა და მოგვიანებით საქმე ოფიციალურად გახსნილად გამოცხადდა.

ტექსტიდან გამომდინარე, რომელი მსჯელობაა მართებული სამართლებრივი კუთხით?

- ა) პოლიციელებმა დაარღვიეს მოქალაქის გადაადგილების თავისუფლება, ვინაიდან არ ჰქონდათ არასრულწლოვანი მოქალაქის დაკავების უფლება;
- ბ) არასრულწლოვანის დაკითხვა მისი მშობლისა და ადვოკატის გარეშე კანონით აკრძალულია და გამომძიებლის ქმედება კანონდარღვევაა;
- გ) მისასალმებელია საგამომძიებლო სამსახურების ეფექტიანი მუშაობა, ვინაიდან მათი მთავარი ამოცანა დანაშაულის გახსნა და დამნაშავეების დასჯაა, რის მისაღწევად ზემოთ აღწერილი საშუალებების გამოყენება გამართლებულია;
- დ) არასრულწლოვანი მოქალაქისათვის, ჩადენილი დანაშაულის გამო, პასუხიმგებლობის დაკისრება არ არის გამართლებული. შესაბამისად, ის არ უნდა დაკითხულიყო.

18. დიაგრამაზე მოცემულია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა 2005-2016 წლებში:



რომელი მსჯელობა შეესაბამება დიაგრამის მონაცემებს?

- ა) 2005-2016 წლებში საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიცია სტაბილურად მზარდი იყო;
- ბ) 2011-2013 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიცია უფრო დიდი იყო, ვიდრე 2014-2016 წლებში;
- გ) მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე დიდ მაჩვენებელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციამ 2007 წელს მიაღწია, ამ წლის მესამე კვარტლის მონაცემები ჩამოუვარდებოდა 2014 წლის მესამე კვარტლის მონაცემებს;
- დ) ყოველი წლის პირველ კვარტალში ნაკლები ინვესტიცია ხორციელდებოდა, სხვა კვარტლებთან შედარებით.

19. დავალებაში მოცემულია საქართველოში აივ/შიდსის დაავადების გავრცელების კვლევის შედეგები :

- 2009 წლის მონაცემებით, აივ/შიდსით ინფიცირების შემთხვევათა 60% ინექციური ნარკოტიკების მოხმარების გზით მოხდა, 36,5% - სქესობრივი გზით, 2,2% - დედიდან ბავშვზე გადაცემით და 1% - სისხლის პროდუქტებით;
- 2014 წელს ინფიცირების რეგისტრირებულ შემთხვევათა 69% მამაკაცია, ინფიცირებულ ქალთა წილი კი, წინა წელთან შედარებით, 25%-დან 31%-მდე გაიზარდა;
- 2015 წლის მონაცემებით, აივ/შიდსით ინფიცირების შემთხვევათა 70% სქესობრივი გზით მოხდა, 28 % - ინექციური ნარკოტიკების მოხმარების გზით, 0,6% - დედიდან ბავშვზე გადაცემითა და სისხლის პროდუქტებით.

მონაცემთა საფუძველზე გამოტანილი რომელი დასკვნა არ არის მართებული?

- ა) 2014 წელს ინფიცირებულ მამაკაცთა ხვედრითი წილი უფრო ნაკლები იყო, ვიდრე 2013 წელს;
- ბ) 2009 წლიდან 2015 წლამდე დედიდან ბავშვზე ინფექციის გადაცემის რაოდენობა შემცირდა, რამაც გამოიწვია აივ/შიდსით ინფიცირების საერთო რაოდენობის შემცირება;
- გ) 2015 წელს სქესობრივი გზით პროცენტულად მეტი ადამიანი დაინფიცირდა, ვიდრე ინექციური ნარკოტიკის მოხმარებით;
- დ) 2009 წელთან შედარებით, 2015 წელს პროცენტულად შემცირებულია აივ/შიდსის გავრცელება დედიდან ბავშვზე გადაცემითა და სისხლის პროდუქტებით.

20. ყურადღებით გაეცანით ამონარიდს სტატიიდან და უპასუხეთ შეკითხვას:

ინტერნეტის გამოგონება ზოგიერთს ისეთივე მნიშვნელოვან მოვლენად მიაჩნია, როგორც თავის დროზე ბორბლის გამოგონება იყო. ამ გამოგონების მომხმარებელი მსოფლიოში უფრო და უფრო მეტი ადამიანი ხდება. თუკი 2000 წელს მსოფლიოში ინტერნეტს დაახლოებით 400 მილიონი ადამიანი მოიხმარდა, 2019 წელს მათი რაოდენობა 4 მილიარდამდე გაიზარდა. ამ დარგის სპეციალისტების აზრით, 2025 წლისთვის ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა მთელი მსოფლიოს პოპულაციის 75% იქნება.

სხვადასხვა კვლევის მიხედვით, ყველაზე დიდი პოპულარობით სოციალური ქსელები სარგებლობენ. ისინი მომხმარებლებს საშუალებას აძლევენ დიდ აუდიტორიაზე გაავრცელონ მათთვის სასურველი ინფორმაცია. სოციალურ ქსელებს სხვადასხვა კომპანია და სახელმწიფოც კი, დიდი წარმატებით იყენებენ. ამან გარკვეული პრობლემებიც გამოიწვია. კერძოდ, შეიქმნა ყალბი ინფორმაციის გავრცელების პრეცედენტები, რაც მომხმარებლების გამიზნულად შეცდომაში შეყვანას ითვალისწინებს.

მაგალითად, რომელიმე სახელმწიფოს შეუძლია სხვა სახელმწიფოს საპრეზიდენტო არჩევნების დროს, კანდიდატების შესახებ განზრახ არასწორი ინფორმაცია გაავრცელოს და ამით გავლენა იქონიოს არჩევნების შედეგებზე. პოლიტიკოსები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული ფაქტი საფრთხეს უქმნის ამა თუ იმ ქვეყანაში დემოკრატიულ პროცესს, რაც აუცილებლად უნდა იქნას დარეგულირებული. ვარაუდობენ, რომ უახლოეს მომავალში მიზანმიმართულ დეზინფორმაციასთან და ყალბი ამბების გავრცელებასთან ბრძოლის ახალი ფაზა დაიწყება, რაც უზრუნველყოფს, როგორც მათი ნეგატიური გავლენის შემცირებას, აგრეთვე სიტყვის თავისუფლების მაღალი სტანდარტის შენარჩუნებას.

ტექსტიდან გამომდინარე, რომელი მსჯელობა წარმოადგენს ფაქტს?

ა) ინტერნეტი მსოფლიო ისტორიაში ისეთივე მნიშვნელობას ატარებს, როგორსაც ბორბალი;

ბ) ახლო მომავალში დეზინფორმაციასთან ბრძოლა აქტიურ ფაზაში გადავა და შეამცირებს მის მიერ გამოწვეულ ნეგატიურ გავლენებს;

გ) 2030 წლისთვის მსოფლიოში ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა მსოფლიო მოსახლეობის 75%-ზე მეტი იქნება;

დ) სოციალური ქსელების საშუალებით ინდივიდებთან კავშირს ამყარებენ როგორც სხვა ინდივიდები, აგრეთვე კერძო კომპანიებიც.

21. გაეცანით ტექსტს და უპასუხეთ კითხვას:

„ისეთი სოციალური კავშირები რომ არსებობდეს, რომლებისთვისაც ძალადობა, როგორც საშუალება უცხო იქნებოდა, მაშინ ცნება „სახელმწიფო“ არ იარსებებდა; მაშინ დადგებოდა ის, რასაც ამ განსაკუთრებული მნიშვნელობით „ანარქია“ შეიძლება ვუწოდოთ. ძალადობა, ბუნებრივია, არ არის სახელმწიფოს ნორმალური თუ ერთადერთი საშუალება (ამაზე საუბარიც ზედმეტია), თუმცა მისთვის სპეციფიური. სწორედ დღეს არის სახელმწიფოს დამოკიდებულება ძალადობასთან განსაკუთრებით პირადული. წარსულში სხვადასხვა კავშირი, გვაროვნულით დაწყებული, ფიზიკურ ძალადობას როგორც ძალიან ნორმალურ საშუალებად აღიარებდნენ. ამის საპირისპიროდ, დღეს ჩვენ უნდა ვთქვათ: სახელმწიფო არის ადამიანთა ის ერთობა, რომელიც განსაზღვრული ტერიტორიის შიგნით (ეს ტერიტორიაც მის ნიშანთვისებებს ეკუთვნის) პრეტენზიას აცხადებს ფიზიკური ძალადობის ლეგიტიმურ მონოპოლიაზე. ვინაიდან დღევანდელი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელია, რომ ყველა სხვა ერთობასა თუ კერძო პირს ფიზიკური ძალადობის უფლება მხოლოდ იმდენად ეძლევა, რამდენადაც ამას სახელმწიფო უშვებს: ის არის ძალადობის „უფლების“ ერთადერთი წყარო“.

„პოლიტიკა, როგორც მოწოდება“, მაქს ვებერი

ტექსტიდან გამომდინარე, რომელი მსჯელობაა მართებული?

ა) ძალადობის გამოყენება არ არის სახელმწიფოსათვის ნორმალური მოვლენა, ვინაიდან ის უნდა ზრუნავდეს მოქალაქეებზე;

ბ) წარსულში ძალადობაზე მონოპოლიას მხოლოდ ერთეული პიროვნებები ფლობდნენ, რაც ბუნებრივად ქმნიდა საზოგადოებაში იერარქიებს;


გ) სახელმწიფოში მხოლოდ იმ ჯგუფებს აქვთ ძალადობის უფლება, ვისაც ეს უფლება სახელმწიფომ მიანიჭა;

დ) ანარქია არის მდგომარეობა, როდესაც სხვადასხვა ჯგუფი სახელმწიფოსაგან იღებს ძალადობის „უფლებას“ და იყენებს მას საკუთარი მიზნების მისაღწევად.

ინსტრუქცია

რუკის ანალიზი (№22-24)

დავალებაში მოცემულია რუკა, რომელიც ასახავს მსოფლიოს ქვეყნებში სოციალური განვითარების დონეს. მას ახლავს სამი კითხვა არჩევითი პასუხებით. რუკის ანალიზის საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს.



1.ავსტრალია; 2.საფრანგეთი 3.კანადა; 4.აზერბაიჯანი; 5.სამხ. აფრიკის რესპუბლიკა; 6.ესპანეთი; 7.ინდოეთი; 8.ჩილე; 9.საქართველო; 10.ბრაზილია; 11.რუსეთი; 12.ირლანდია; 13.ალჟირი; 14.ყაზახეთი; 15.ავღანეთი; 16.ამერიკის შეერთებული შტატები; 17.ეგვიპტე; 18.საუდის არაბეთი; 19.პაკისტანი; 20.იაპონია

22. რუკის მონაცემებიდან გამომდინარე, სოციალური განვითარების დონე:

ა) ავსტრალიაში უფრო დაბალია, ვიდრე კანადაში;

ბ) სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში უფრო დაბალია, ვიდრე ინდოეთში;

გ) საქართველოში უფრო მაღალია, ვიდრე რუსეთში;

დ) ალჟირში უფრო დაბალია, ვიდრე ავღანეთში.

23. რუკის მონაცემებიდან გამომდინარე, რომელ ჩამონათვალშია დალაგებული ქვეყნები სოციალური განვითარების დონის კლების მიხედვით?

ა) საფრანგეთი, აზერბაიჯანი, ესპანეთი;

ბ) ბრაზილია, ჩილე, ირლანდია;

გ) ყაზახეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, საუდის არაბეთი;

დ) იაპონია, ეგვიპტე, პაკისტანი.

24. რუკის მონაცემებიდან გამომდინარე, რომელი მსჯელობაა მართებული?

- ა) სოციალური განვითარების დონე კავკასიაში უფრო დაბალია, ვიდრე ცენტრალურ აფრიკაში;
- ბ) ჩრდილო ამერიკაში სოციალური განვითარების დონე უფრო დაბალია, ვიდრე სამხრეთ ამერიკაში;
- გ) ევროკავშირის წევრ პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში სოციალური განვითარების დონე უფრო მაღალია, ვიდრე ცენტრალური აზიის წევრ პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში;
- დ) ინდოეთის სოციალური განვითარების დონე ყველაზე მაღალია აზიაში.

ინსტრუქცია

შესაბამისობის დადგენა (№25)

დავალებაში ორ სვეტად მოცემულია სხვადასხვა ტიპის ჩამონათვალი. დაადგინეთ შესაბამისობა ამ ორ სვეტში წარმოდგენილ ინფორმაციას შორის. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

25. შეუსაბამეთ კონფლიქტის ტიპები მათ გამომწვევ მიზეზებს:

| I. კონფლიქტების მიზეზები | II. კონფლიქტების ტიპები |
|--|---|
| <p>ა) მოლაპარაკებისას მხარეებს შეუთავსებელი სურვილები და მოტივაციები ამოდრავებთ და მათ დათმობაზე უარის თქმით ყურადღებას საკუთარ პოზიციებზე ამახვილებენ.</p> <p>ბ) მხარეები განსხვავდებიან თავიანთი მსოფლმხედველობით, იდეებით, პრინციპებით, რაც რთულს ხდის ქცევის შეფასების საერთო კრიტერიუმებზე შეთანხმებას.</p> <p>გ) წარსულში უარყოფითი გამოცდილება მხარეებს სტერეოტიპულ წარმოდგენებს უქმნის ერთმანეთზე, რასაც ემატება ძლიერი ემოციების უკონტროლო გამოვლინება.</p> <p>დ) მხარეებს შორის ძალაუფლება უთანასწოროდ ნაწილდება, შეზღუდულ რესურსებზე წვდომის არათანაბარი შესაძლებლობა არსებობს, ან თანამშრომლობისთვის ხელისშემშლელად გარემო ფაქტორები გვევლინება.</p> <p>ე) მხარეები საკმარისად არ ეცნობიან მონაცემებს ერთმანეთის შესახებ, ან ადვილად ენდობიან გადაუმოწმებელ ცნობებს, რაც მცდარი წარმოდგენების საფუძველი ხდება.</p> | <ol style="list-style-type: none"> 1. ღირებულებების 2. ინფორმაციული 3. ინტერესთა 4. ურთიერთობების 5. სტრუქტურული |

ინსტრუქცია

შეცდომის გასწორება (№26)

დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომები (თარიღი, ტერმინი, სახელი და სხვ.). იპოვეთ და გაასწორეთ ისინი. ნაპოვნი შეცდომა და მისი გასწორებული ვარიანტი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. გაითვალისწინეთ, ყოველი ნაპოვნი შეცდომა, მის გასწორებულ ვარიანტთან ერთად, 1 ქულით ფასდება. დავალების მაქსიმალური ქულაა 11.

დავალება N 26

კონსტიტუციონალიზმი საქართველოში

სახელმწიფოს, როგორც ორგანიზაციის, ფორმირებისა და ფუნქციონირების გარკვეული მოთხოვნები ჩამოყალიბებულია სამართლებრივ დოკუმენტში, რომელსაც კონსტიტუცია ეწოდება. კონსტიტუცია მიიღება ხალხის სახელით ან ხალხის მიერ - სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მიერ ან პლებისციტის გზით. კონსტიტუცია აღიარებულია ხალხის მიერ, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ლეგიტიმურია.

დღეს კონსტიტუცია თითქმის ყველა სახელმწიფოს გააჩნია. თანამედროვე მნიშვნელობით, ერთ-ერთ ყველაზე ძველ კონსტიტუციას, 1787 წელს მიღებული, ისრაელის კონსტიტუცია წარმოადგენს.

იდეა, რომ პოლიტიკური სისტემა ხალხის მიერ აღიარებულ კონსტიტუციას უნდა ეფუძნებოდეს, საქართველოშიც გავრცელდა, რაც ევროპაში აქტუალური პოლიტიკური პროცესების გამოძახილი იყო. ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორია 1918 წლის 9 აპრილიდან იწყება. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ამ დღეს მიიღო დამოუკიდებლობის აქტი, რომლითაც საქართველოს პოლიტიკური მმართველობის ფორმად ფედერაციული რესპუბლიკა განისაზღვრა. საქართველოს სახელმწიფომ 1925 წლის 21 თებერვალს პირველი კონსტიტუცია მიიღო, რომელმაც ოთხი დღე იმოქმედა.

[გადასვლა ტექსტის მეორე გვერდზე](#)

რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ საქართველოში დაიწყო საბჭოური მმართველობის ორმოცდაათწლიანი პერიოდი. საბჭოთა კონსტიტუციით დაწესდა კერძო საკუთრება როგორც მიწაზე, ისე მსხვილ წარმოებასა და საწარმოო საშუალებებზე. საბჭოთა კავშირის არსებობის მანძილზე რამდენჯერმე შეიცვალა საქართველოს კონსტიტუცია. 1978 წელს რიგით მეოთხე საბჭოთა კონსტიტუციით საქართველო კვლავ ლიბერალურ საერთო-სახალხო სახელმწიფოს წარმოადგენდა. სახელმწიფო წყობილების ფორმა საქართველოში 1990 წლის 28 ოქტომბრის ერთპარტიული არჩევნების გზით მოსულმა ეროვნულმა ხელისუფლებამ შეცვალა.

1995 წელს მიღებულ იქნა საქართველოს ორგანული კანონი, ანუ კონსტიტუცია, რომელშიც თავმოყრილია სახელმწიფოს არსებობის ყველა არსებითი საკითხი, მათ შორის, მართვა-გამგეობის ფორმა, ტერიტორიული მოწყობა, სახელმწიფოსა და მოქალაქის ურთიერთმიმართების მთავარი პრინციპები, საშინაო და საგარეო ურთიერთობების ძირითადი მიმართულებები. დღესდღეობით საქართველოში, როგორც სამართლებრივ სახელმწიფოში, კონსტიტუცია წარმოადგენს იმ ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებები და თავისუფლება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

ინსტრუქცია

სასკოლო პროექტი (N27)

დავალებაში მოცემულია პროექტის არასრული მონახაზი (აღწერილია პრობლემა და განსაზღვრულია პროექტის მიზანი). დაწერეთ ორი განსხვავებული ამოცანა და მათი განხორციელების გზები. გაითვალისწინეთ, ამოცანები უნდა შეესაბამებოდეს აღწერილ პრობლემასა და პროექტის მიზანს.

დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება **N 27** პრობლემის აღწერა/სიტუაციის ანალიზი:

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ განვითარებული მოვლენების გამო სახელმწიფო სტრუქტურებმა დაკარგეს მოქალაქეების ნდობა, რის გამოსწორებასაც ძალიან დიდი ძალისხმევა დასჭირდა. მიუხედავად ამ ძალისხმევისა, საზოგადოების დიდ ნაწილში სახელმწიფოსთან თანამშრომლობა კვლავაც არ არის მიჩნეული პოზიტიურ ღირებულებად. ამის დასტურია თქვენს სასკოლო თემში განვითარებული კრიმინალური შემთხვევა. შემთხვევაზე დაწყებული გამოძიების დროს თქვენი სასკოლო თემის წევრებმა არ ითანამშრომლეს საგამომიებო სტრუქტურებთან, რის გამოც ვერ მოხდა სამართლის აღსრულება.

პროექტის მიზანი:

სასკოლო თემში სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

ამოცანები (დაწერეთ კონკრეტული მიმართულებები პროექტით დასახული მიზნის მისაღწევად)

I ამოცანა:

II ამოცანა:

განხორციელების გზები (დაწერეთ კონკრეტული ნაბიჯები, აქტივობები დასახული ამოცანების გადასაჭრელად)

I ამოცანის განხორციელების გზა:


II ამოცანის განხორციელების გზა:

ინსტრუქცია

ილუსტრაციის ანალიზი (N28)

გაეცანით დავალებაში მოცემულ ილუსტრაციას. გაანალიზეთ იგი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება N 28.



- 28.1** იმსჯელეთ, რა მოვლენას გამოხატავს მოცემული ილუსტრაცია?
- 28.2** კრიტიკულად გააანალიზეთ, რატომ შეიძლება მოცემული მოვლენა ჩაითვალოს პრობლემურად ცივილიზებულ საზოგადოებაში?
- 28.3** განიხილეთ ორი ეფექტური გზა, რომლებითაც შესაძლებელი იქნება პრობლემასთან გამკლავება სახელმწიფო დონეზე.

ინსტრუქცია

არგუმენტირებული მსჯელობა (N29)

გაეცანით სადისკუსიო თემას და დაასახელეთ არგუმენტები. გაითვალისწინეთ, თითოეული არგუმენტი უნდა იყოს არსებითად დამოუკიდებელი, კონკრეტული, ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული აზრის მქონე. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება N 29

სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედებს გადასახადების სხვადასხვა სისტემა. კერძოდ, ზოგიერთ ქვეყანაში მოქალაქის გადასახადი იზრდება მისი შემოსავლის ზრდასთან ერთად. ამგვარად, რაც უფრო მეტს გამოიმუშავებს მოქალაქე, მით მეტ გადასახადს იხდის ის. ამ ტიპის გადასახადს პროგრესული გადასახადი ეწოდება.

ამ სისტემას ჰყავს როგორც მომხრეები, აგრეთვე მოწინააღმდეგეები.

- A. დაასახელეთ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ორი არგუმენტი, რომლებითაც ნათელი გახდება პროგრესული გადასახადის მომხრეთა პოზიცია.
- B. დაასახელეთ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ორი არგუმენტი, რომლებითაც ნათელი გახდება პროგრესული გადასახადის მოწინააღმდეგეთა პოზიცია.

ინსტრუქცია


წყაროს ანალიზი (N30)

დავალებაში მოცემულია რამდენიმე წყარო, რომლებსაც ახლავს როგორც დავალებები არჩევითი პასუხებით, ასევე ღია კითხვები. გაეცანით მოცემულ წყაროებს და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 11.


დავალება **N 30** გაანალიზეთ მოცემული წყაროები და უპასუხეთ კითხვებს:

წყარო N1

რამდენად მნიშვნელოვანია კარგი მოქალაქისათვის არჩევნებში მონაწილეობა?
(კავკასიის ბარომეტრი, საქართველო, 2015)



მოქალაქეთა აქტივობა საქართველოს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე



წყაროებზე გადასვლა: [2](#) [3](#) [4](#)

დავალებებზე გადასვლა: [30.1](#) [30.2](#) [30.3-30.7](#)

წყარო N2

„ვინც ამ მცირერიცხოვან რჩეულთა წრეს ეკუთვნის და პირადად განუცდია ფილოსოფიით მონიჭებული სიამოვნება და ნეტარება, ვინც არაერთხელ ყოფილა ბრბოს სიშლეგის მოწმე, ვისაც არ ახსოვს თუნდაც ერთი პოლიტიკოსის გონივრული საქმე, ვინც იცის, რომ ერთ მოკავშირესაც ვერ ჰპოვებს, ვისთან ერთადაც შეიძლება ისე შეეწიოს სამართლიანობას, რომ ეს სიცოცხლის ფასად არ დაუჯდეს, – თავს ისე გრძნობს, როგორც ველური მხეცების ხროვაში, რომელთა სისხლიან თარეშში მონაწილეობას ხელალებით უარყოფს, თუმცა იმისი ძალა კი არ შესწევს, რომ მარტოდმარტო აღუდგეს წინ მათ მძვინვარებას, რადგანაც იცის, რომ მანამდე წააგებს თავს, ვიდრე რამეში წაადგებოდეს სახელმწიფოს ან თავის მეგობრებს, ვერც თავს არგებს რასმე და ვერც სხვებს დაიხსნის გაჭირვებისგან. ამაში ღრმად დარწმუნებული სიმშვიდეს არჩევს და აუმღვრევლად აკეთებს თავის საქმეს. როგორც მგზავრი თავსხმასა თუ გრიგალში დაეძებს თავშესაფარს, ისიც თავისი სიმყუდროვიდან აკვირდება უკანონობის თავაწყვეტილ პარპაშს და ბედნიერია იმის შეგნებით, რომ უსამართლობასა და უწმინდურობას გარიდებული მშვიდად გალევს ამ წუთისოფელს, მერე კი, უკეთესი ხვედრის მოლოდინში, უდრტვინველად გაეცლება მას. {...} თუ იცნობ ცხოვრების რომელიმე სხვა წესს, ისეთივე ზიზღს რომ აღუძრავს ადამიანს ამა თუ იმ სახელმწიფო თანამდებობის მიმართ, როგორც ჭემმარიტ ფილოსოფიასთან ზიარებულის ცხოვრებაა?

პლატონი, „სახელმწიფო“

წყარო N3

„სახელმწიფო ბუნებრივი მოვლენაა და ადამიანი კი - პოლიტიკური არსება. ხოლო ვინც სახელმწიფოს გარეთ იმყოფება თავისი სურვილით და არა შემთხვევით, ის ან ცუდი ადამიანია, ან ადამიანზე მაღლა მდგომი. როგორც ჰომეროსი ამბობს გაკიცხვით, „ის იყო ბოგანო, კანონგარეშე და უსახლკარო...“, ასეთი ადამიანი ომის მოყვარეც არის და ისე არსებობს, როგორც განმარტოებული პაიკი სათამაშო დაფაზე.

არისტოტელე, „პოლიტიკა“

წყარო N4

„საზოგადოება იმდენადაა დემოკრატიული, რამდენადაც უზრუნველყოფს საზოგადოების ყველა წევრისთვის თანაბარ ხელმისაწვდომობას სიკეთეებზე და თავისი ინსტიტუტების მოქნილ გადაწყობას, ერთობლივი ცხოვრების სხვადასხვა ფორმის ურთიერთქმედების საშუალებით. ამგვარ საზოგადოებას იმ სახის საგანმანათლებლო სისტემა უნდა ჰქონდეს, რომელიც ინდივიდებს პირად ინტერესს აღუძრავს სოციალური ურთიერთობებისა და კონტროლის მიმართ და იმგვარ გონებრივ უნარებს განუვითარებს, რომელიც უზრუნველყოფს სოციალურ ცვლილებებს საზოგადოებრივი არეულობის გამოწვევის გარეშე.“

ჯონ დიუი, „დემოკრატია და განათლება“

30.1 რომელი მოსაზრება შეესაბამება პლატონის ტექსტს:

- ა) ფილოსოფიით გატაცებული ადამიანისთვის პოლიტიკა ის სივრცეა, სადაც მას შეუძლია თავის თანამოაზრეებთან ერთად განახორციელოს სახელმწიფოსთვის სასიკეთო ცვლილებები;
- ბ) ფილოსოფოსები უნებლიე თანამონაწილენი არიან იმ პოლიტიკური უსამართლობისა, რომელსაც საბოლოოდ ეწირებიან კიდევ, რადგან არ აქვთ პოლიტიკური გამოცდილება;
- გ) ჭეშმარიტმა ფილოსოფოსმა იცის, რამდენად სარისკო და უსამართლო საქმეა პოლიტიკა, ამიტომ თავს არიდებს პოლიტიკურ თანამდებობას;
- დ) ფილოსოფოსი, როგორც მცოდნე ადამიანი, ვალდებულია ისწრაფოდეს პოლიტიკური თანამდებობის მოსაპოვებლად, რამდენადაც მას უფრო დიდი ცოდნა აქვს, ვიდრე სხვას.

წყაროებზე დაბრუნება: [1](#) [2](#) [3](#) [4](#)

დავალებებზე გადასვლა: [30.2](#) [30.3-30.7](#)

30.2 რომელი მსჯელობა შეესაბამება ჯონ დიუის ტექსტს?

- ა) დემოკრატიულ სახელმწიფოში საგანმანათლებლო სივრცეები მეტად მრავალფეროვანია, რაც ხელს უწყობს საზოგადოებაში ძალაუფლებისკენ სწრაფვის თავშეკავებას;
- ბ) სახელმწიფოს მართვის პროცესში საზოგადოების ჩართულობა ხელს უშლის სახელმწიფო ინსტიტუტების თავისუფალ ფუნქციონირებას;
- გ) დემოკრატიულობის ხარისხი სახელმწიფოში განისაზღვრება იმით, თუ რამდენად შეთანხმებულია საზოგადოება განათლების საერთო მიზნებზე;
- დ) დემოკრატიული განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, სახელმწიფოში არსებობდეს იმგვარი საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც მოქალაქეებში პოლიტიკურ ინტერესებს აღძრავს.

წყაროებზე დაბრუნება: [1](#) [2](#) [3](#) [4](#)

დავალებებზე გადასვლა: [30.1](#) [30.3-30.7](#)

- 30.3** იმსჯელეთ, რა შეიძლება იყოს პოლიტიკის მიმართ პლატონის მიერ აღწერილი დამოკიდებულების მიზეზი.
- 30.4** რატომ შეიძლება ადამიანს ვუწოდოთ პოლიტიკური არსება და რატომ აიგივებს არისტოტელე სახელმწიფოს გარეთ მდგომ ადამიანს ომის მოყვარულთან?
- 30.5** N4 წყაროს მიხედვით, რა საფრთხეს შეიცავს სოციალური ცვლილებები? იმსჯელეთ არგუმენტირებულად, როგორ შეიძლება ამგვარი საფრთხის თავიდან აცილება.
- 30.6** N1 წყაროში მოცემული დიაგრამების შეჯერების საფუძველზე გამოიტანეთ დასკვნა, რა ვითარებაა საქართველოში სამოქალაქო მონაწილეობის თვალსაზრისით? იმსჯელეთ, ამ ვითარების განმაპირობებელი მიზეზების შესახებ.
- 30.7** დაასახელეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის ორი ფორმა და იმსჯელეთ მათ მნიშვნელობაზე.